ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N8

06.05.2022 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
14:00 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 6 მაისს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, მერიის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი **გოგი ჩიქოვანი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-0322123117-03, 03.05.2022 წელი);*
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში**

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032212493-03, 04.05.2022 წელი);* **მომხსენებელი - ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

3. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ჩოგბურთის განვითარების“ (ს/ნ 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის“ (ს/ნ 404408066), „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის“ (ს/ნ 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ (ს/ნ 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“** შექმნის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032211980-03, 29.04.2022 წელი);* **მომხსენებელი - ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტი კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად განპირობებულია წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 154,5 ათასი ლარით, რაც განპირობებულია თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის აპარატურის შესყიდვის ხარჯის დაბრუნებით. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 154,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 392 233,5 ათას ლარს. ძირითადი ცვლილებები ეხება მერის სარეზერვო ფონდს, რომლის 3 120,0 ათასი ლარით ზრდა განპირობებულია უკრაინიდან დევნილი მოსახლეობის განთავსების და კვების ხარჯების უზრუნველყოფისთვის. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის პროგრამას (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 28 253,6 ათასი ლარით. დანარჩენი ცვლილებები ეხება რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მოთხოვნების შესაბამისად შიდა გადანაწილებას და ასახულია შემდეგნაირად: იზრდება სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 154,5 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01)

პროგრამის ასიგნება - 465,0 ათასი ლარით, ქალაქ თბილისის საკრებულოს ასიგნებები (კოდი 10 01) – 200,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები და კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში. ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 08 06 07) 76,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 76,8 ათასი ლარით მცირდება, რაც გადანაწილებულია ახალ სპორტულ ქვეპროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდისთვის დამატებული თანხა მიღებულია ეკონომიით. კერძოდ გადახდები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სესხებზე, 2022 წლის ბიუჯეტის შედგენისას უცხოური ვალუტა დღეის მდგომარეობით დაგეგმილზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა, ვალუტის კურსის კლების შედეგად დაზოგილი თანხა კი, აკუმულირდება ფონდში.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგეხსენებათ, რომ წინასაარჩევნო დაპირების ფარგლებში, ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" კოდი 08 06 07, პროგრამით 60 და 60 წელს გადაცილებული თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეები შეძლებენ ძირითადად აუზით და ფიტნესით სარგებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით ვთხოვ საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს მოგვაწოდოს ინფორმაცია.

ირაკლი გვილავა - პროგრამა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" პირველ ეტაპზე მოიცავს მერიის სპორტულ ა(ა)იპ-ებს, ძირითადად აუზები და ფიტნეს დარბაზები. პროექტის დაანონსებას შევძლებთ ზაფხულისთვის, ხოლო სექტემბრიდან შევძლებთ დაწყებას. ახლა გახლავთ წინა მოსამზადებელი ნაწილი, როგორც ელექტრონული განაცხადის მიღების ფორმის, ასევე სხვა აუცილებელი კომპონენტების შემუშავება, რის შემდეგაც მოხდება პროექტის პრეზენტაცია. პირველ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ 200-დან 400-მდე ადამიანის მომსახურეობას შევძლებთ აღნიშნული სერვისით. წესი ამ დროისთვის მუშავდება და საკრებულოს ზაფხულში წარედგინება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, სტუდენტების ხელშეწყობის წესში ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტი კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, ჩვენ უკვე გვაქვს პროგრამა სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის საფასურს ვუფინანსებთ, ასევე თბილისში რეგისტრირებულ წარჩინებულ მაგისტრანტებზე რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში გავცემთ მერიის სტიპენდიას. ამ პროგრამის ბიუჯეტი 2021 წელს გავაორმაგეთ და მხოლოდ 2021 წელს საერთო ჯამში 3 650 სტუდენტს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა.

დღეს განსახილველად წარმოგიდგენთ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესში შესატან ცვლილებებს, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაფინანსების პირობებს. პროექტით ამ სტატუსის მქონე სტუდენტები დაფინანსდებიან თუ განცხადების შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ ბოლო 6 თვის განმავლობაში უფიქსირდებათ თბილისში რეგისტრაცია. სწავლის დაფინანსების გაცემა მოხდება წელიწადში 2-ჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით. სწავლის დაფინანსების გაცემა დამოკიდებული იქნება მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის და შშმ სტუდენტის მიერ წინა სემესტრში გავლილ საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის შესაბამისად, რაც უფრო კარგი აკადემიური მოსწრება აქვს სტუდენტს, მით უფრო მაღალ დაფინანსებას მიიღებს. შშმ პირებს, რაც შეეხებათ კანონით განსაზღვრულია სამი კატეგორია ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული. მინიმუმ 70%-ით ფინანსდება ყველა შშმ პირი მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული სტატუსით, ხოლო ზომიერად გამოხატული სტატუსის მქონე მინიმუმ 50%-ით დაფინანსდება აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - კითხვა მაქვს დაზუსტებისთვის, წარმატებული სტუდენტებზე, დაფინანსება ვრცელდებოდა თბილისში რეგისტრირებულ სტუდენტზე, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას ?.

გოგი ჩიქოვანი - სტიპენდია გახლავთ ცალკე პროგრამა, რომლის წესში განსაზღვრულია თბილისში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალი, რაც გახლავთ მხოლოდ მაგისტრატურის ნაწილში. თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტს, კი სწავლის საფასურს ვუფინანსებთ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს

ტერიტორიაზე, ამასთან დაკავშირებით ტერმინთა განმარტებაში შევიდა კანონის შესაბამისი ფორმულირება, თუ რომელი რანგის (კატეგორიის) უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს არსებული პროგრამით.

ვლადიმერ ბოჟაძე - მაინტერესებს აღნიშნული შეღავათით სარგებლობა, თუ შეუძლია ფინანსურად შეძლებულ სტუდენტს, რომლის ოჯახის შემოსავალი აღემატება 40 ათას ლარს.

ირაკლი გვილავა - პროგრამა ვრცელდება სტუდენტებზე და არა მათ მშობლებზე, თუ სტუდენტი აკმაყოფილებს შესაბამის კატეგორიას, ის მიიღებს განსაზღვრულ დაფინანსებას. აღნიშნული თანხა ირიცხება უნივერსიტეტში და მუნიციპალიტეტი აფინანსებს მისი სწავლის საფასურს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დადგენილი საფასურის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, მერიის სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა .

ირაკლი გვილავა - აღნიშნული საკითხი მოიცავს რამდენიმე მუნიციპალური ა(ა)იპ-ის გაერთიანებას ერთი ქოლგის ქვეშ. ეს გახლავთ სპორტული ცენტრი იმედი, რომელსაც აქვს მუშტაიდის ტერიტორიაზე სტადიონი და დაემატა მზიურის მიმდებარედ ახალი საფეხბურთო სტადიონი, ინფრასტრუქტურის პროდუქტიულად გამოყენების და მენეჯმენტის ეფექტურობისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მერიის ახალგაზრდული ცენტრის, რომელსაც ორი ფილიალი აქვს და სპორტული ა(ა)იპ-ების შერწყმა, სადაც შედის

კორტების ორი ფილიალი და ფრენბურთის განვითარების ცენტრი. აღნიშნული ა(ა)იპ-ები გაერთიანდება, ნაცვლად დამატებითი ა(ა)იპ-ის შექმნისა და შტატების დამატებისა, მოხდება მომუშავე პერსონალის ცენტრალიზება და ერთიანი სამსახურები მოემსახურება ყველა მიმართულებას. ასევე აღნიშნულ ა(ა)იპ-ს დაემატება ,,Eurodesk Tbilisi" პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი და ასევე სკეიდ პარკების მონიტორინგის ჯგუფი. ჩვენს დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ებში ვაპირებთ საბონუსე სისტემის დანერგვას, სადაც მოჭრილი ხელფასის გარდა თანამშრომელს საშუალება ექნება მცირე წახალისება მიიღოს ბონუსების სახით. არ მოხდება შტატების შეკვეცა, ან გაზრდა, უბრალოდ ცალკე პროექტებისთვის იურიდიულ და ფინანსურ მომსახურეობას, როცა ვუკვეთავდით ახლა გვეყოლება ცენტრალიზებული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სერვისებს. გაერთიანების საფუძველი, ასევე გახდა აუდიტის დასკვნა, რომელმაც მოგვცა რეკომენდაცია ცალკე ა(ა)იპ-ების დაფუძნების ნაცვლად, მომხდარიყო ერთიანი ცენტრალიზებული მექანიზმის შემუშავება და ერთ ა(ა)იპ-ში გაერთიანება რიგი ობიექტების.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ჩოგბურთის განვითარების" (ს/ნ 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის" (ს/ნ 404408066), „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" (ს/ნ 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" (ს/ნ 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის" შექმნის თაობაზე საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4), წინააღმდეგი - (0). თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ჩოგბურთის განვითარების" (ს/ნ 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის" (ს/ნ 404408066), „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" (ს/ნ 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" (ს/ნ 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის" შექმნის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია - პროექტ ,,სასკოლო ლიგა 2022"-ს შესახებ, რომელიც წელს სპორტის სამ სახეობაში ხელბურთში, პნევმატური იარაღით სროლაში და მინი ფეხბურთში იმართება, მასში 150-მდე საჯარო და კერძო სკოლის 2000-მდე მოსწავლეა ჩართული, რომელიც თბილისის გარდა ქალაქ რუსთავს

და აჭარის რეგიონს მოიცავს. თავმჯდომარემ კომისიის სამდივნოს სთხოვა პროექტს, დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერისთვის ადგილზე გაუწიონ საჭირო ხელშეწყობა, გაშუქების და სხვა ტექნიკური მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე